

აითან მარდან ჰაჯიევა¹

ნინო ჯავახიშვილი²

საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალთა ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულება

აბსტრაქტი

დამოუკიდებლობის პირველივე წლებიდან მოყოლებული, საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა უპირველესად ორიენტირებულია ევროინტეგრაციის მიზნის მიღწევაზე. აუცილებელია სიღრმისეული რეფორმების განხორციელება საზოგადოებრივი სტრუქტურის თითქმის ყველა სფეროში, ასევე, საზოგადოებრივი მხარდაჭერა ევროპული ღირებულებების გათავისებისა და ცნობიერების კიდევ უფრო ამაღლების მხრივ, რათა საქართველომ შეძლოს აღებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება. ევროინტეგრაციისა და ევროპულ სტრუქტურებთან თანამშრომლობის მნიშვნელობა, ისევე როგორც ის შესაძლებლობები, რაც მათ მოაქვს, კარგად უნდა იქნას გაგებული საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის, ქალებისა და უმცირესობების მიერ.

ნაშრომი აანალიზებს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ საქართველოში ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე. კვლევის პირველადი საკვლევი კითხვაა, როგორ მოქმედებს სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა, განათლება, ინოვაციურობა და აქტივიზმი საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე, ხოლო აქტივიზმი გამოყენებულია როგორც მედიატორი ცვლადი სახელმწიფო ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებას შორის. გამოკითხვაში ჯამურად 380-მა პირმა მიიღო მონაწილეობა. 2022 წლის ივნისში გამოკითხვა ჩატარდა ჰიბრიდული ფორმით – კითხვარები დარიგდა საქართველოს იმ რეგიონებში (მარნეული, გარდაბანი, ბოლნისი და დმანისი), სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეთნიკური აზერბაიჯანელები. მონაცემთა ანალიზისა და ჰიპოთეზების შემოწმების მიზნით გამოყენებულ იქნა სტრუქტურული განტოლების მოდელი (SEM) Smart PLS-ის მეშვეობით. კვლევამ აჩვენა მნიშვნელოვანი კორელაცია ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებასა და სახელმწიფო ენის ცოდნას, ინოვაციურობასა და სამოქალაქო აქტივიზმს შორის.

გარდა ამისა გამოვლინდა, რომ აქტივიზმი წარმოადგენს მედიატორ ფაქტორს სახელმწიფო ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებას შორის. აქედან გამომდინარე, კვლევა გვთავაზობს უმცირესობების ინტეგრაციის პროგრამების ინტენსიფიკაციას საქართველოს რეგიონებში, უპირველეს ყოვლისა, გრანტების მიმართვას იმ პროგრამებზე, რომლებიც ზრდის უმცირესობათა წარმომადგენელ ქალთა აქტიურობას. გარდა ამისა, რეკომენდებულია რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (CSO) ჩართულობა უმცირესობათა საკითხებში და შესაბამისი ტრენინგების ჩატარება უმცირესობათა ენებზე.

საკვანძო სიტყვები: დამოკიდებულება ევროკავშირში ინტეგრაციისადმი, აქტივიზმი, სტრუქტურული განტოლების მოდელი SEM, SMART-PLS, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები, უმცირესობა

¹ აითან მარდან ჰაჯიევა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის ინგლისურენოვანი ევროპისმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი, ელექტრონული ფოსტა: aytandilanchieva@ya

² ნინო ჯავახიშვილი – პროფესორი, დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 3/5 ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, ელექტრონული ფოსტა: nino.javakhishvili.3@iliauni.edu.ge

შესავალი

1996 წლიდან საქართველომ ევროინტეგრაცია უმთავრეს პრიორიტეტად დაისახა როგორც საგარეო, ასევე, შიდა პოლიტიკის კონტექსტში. რიგ სფეროებში მიღწეული წარმატებების შედეგად, საქართველომ და ევროკავშირმა, 2014 წელს, ხელი მოაწერეს ასოცირების შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) კომპონენტს, რომელიც საქართველოს (უკრაინასა და მოლდოვასთან ერთად) აძლევს ევროპის ერთიანი ბაზრის ზოგიერთ სექტორზე წვდომის საშუალებას. თუმცა, ზემოხსენებულ ხელშეკრულებაში ასახული ვალდებულებების შესასრულებლად საჭიროა მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელება თითქმის ყველა სფეროში, ისევე როგორც საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერა ევროკავშირის გაფართოების კუთხით, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ევროპული ღირებულებების თაობაზე ცნობიერების ამაღლებასთან. თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს ევროინტეგრაციისა და ევროპასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა და ყოველივე ამის შედეგად მიღებული შესაძლებლობები. სამწუხაროდ, რუსული მედიის მიერ წარმოებულმა სადებიზფორმაციო კამპანიამ დაბრკოლებები აღმართა საქართველოს ევროპისკენ მიმავალ გზაზე და ეს დაბრკოლებები ყველაზე თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც საქმე ეხება ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებს საქართველოში, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობის მიერ განცდილი სირთულეების პარალელურად არ ფლობენ სახელმწიფო ენას. იმისათვის, რომ ქვეყნის მოსახლეობას ჰქონდეს სრულყოფილი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა სიკეთეები მოელით მათ ევროკავშირთან დაახლოების შედეგად, მათ შორის ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებს, ისინი კარგად უნდა იცვნენ ინფორმირებული ევროკავშირის, მისი შემდგომი გაფართოების პერსპექტივების და ასოცირების შეთანხმების შესრულების შესახებ. მრავალი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, საზოგადოების უდიდესი ნაწილი არის პროევროპულად განწყობილი (NDI Poll, 2022; ფანჩულიძე, 2017), თუმცა, ასოცირების პროცესისადმი გარკვეული ინტერესის მიუხედავად, ფართო საზოგადოება ბოლომდე არ არის ინფორმირებული ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობისა მისი თავისებურებების შესახებ (სამველ და მურადაშვილი, 2021).

ნაშრომი ყურადღებას ამახვილებს ეთნიკურ აზერბაიჯანელ ქალებზე, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოში და ხშირად განიხილებიან, როგორც საზოგადოების ყველაზე დაუცველი წევრები, რადგან ისინი წარმოადგენენ ისტორიულად მარგინალიზებულ სქესს და ამასთანავე, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობას (ინტერსექციურობა). რელიგია გავლენას ახდენს მამაკაცებისა და ქალების გენდერულ როლებზე მთელს კავკასიის რეგიონში, მაგრამ აზერბაიჯანელი ქალები განსაკუთრებულ გამოწვევებს აწყდებიან მუსლიმურ საზოგადოებებში გავრცელებული ხისტი გენდერული ნორმების გამო (მეჰრაბოვ, 2016; ჯავახიშვილი et. al., 2020; ჰაჯიევა & ჯავახიშვილი, 2022). ეჭვგარეშეა, რომ ეთნიკური აზერბაიჯანელების უმრავლესობა საქართველოს მიიჩნევს საკუთარ ქვეყნად და სურს, რომ მათმა შვილებმა მეტი მონაწილეობა მიიღონ ქართული საზოგადოების წინსვლაში, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ჯგუფის ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში ჯერ კიდევ მინიმალურია (კანდელაკი, 2020; ჰაჯიევა, 2021). საქართველოს სოციალური და ეკონომიკური პოტენციალის შესახებ გაზრდილმა ცოდნამ გავლენა მოახდინა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის ინტეგრაციის სურვილზე. ყოველივე ეს, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული ქართული ენის სწავლების ბოლოდროინდელ ინიციატივებთან ერთად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელი ქალების მომავლის მიმართ ოპტიმიზმის ზრდის საფუძველს იძლევა.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ენის ცუდად ფლობა, რაც კიდევ უფრო ზღუდავს აზერბაიჯანელი ქალების (და ზოგადად აზერბაიჯანელების) შესაძლებლობას სრულად ისარგებლონ საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებით, მათ შორის, მინის საკუთრების უფლებით, წარმოადგენს პრობლემას, რომელიც პირდაპირ კავშირშია მათ მიერ სახელმწიფო ენის არცოდნასთან. მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები (ნომინალურად) არიან წარმოდგენილნი ადგილობრივ გამგეობებში, ისინი მაინც არ ასრულებენ არსებით მოვალეობებს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების მიერ სახელმწიფოს ოფიციალური ენის არცოდნას. ადგილობრივი ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ აზერბაიჯანულ ოჯახებში, ჩვეულებრივ, მამაკაცები არიან ჩართულნი პოლიტიკურ აქტივობებში. ფეინჰოპფის (2014) მიხედვით ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი გამოკითხვის ფარგლებში ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ქალმა ვერ აღწერა თავის უფლება-მოვალეობები ადგილობრივ საკრებულოში, ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ პოლიტიკაში აზერბაიჯანი ქალების ჩართულობა ჯერ კიდევ ფორმალური ხასიათისაა.

სამოქალაქო საზოგადოების რამდენიმე ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ეთნიკურად აზერბაიჯანელი უმცირესობების 30-დან 78,3 პროცენტამდე არ იცის ქართული ენა (სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი, 2012). დღევანდელი მდგომარეობით, ათი წლის შემდეგ, მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ მხოლოდ ახალგაზრდა აზერბაიჯანელ მოქალაქეებს შორის, რომლებმაც დედაქალაქის უნივერსიტეტებში გადანაცვლეს განათლების მიღება. საქართველოს ეთნიკური სომხების და აზერბაიჯანელების უმრავლესობა ცხოვრობს სოფლად, მონოეთნიკური თემების ფარგლებში, ქვეყნის სამხრეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში. ენა ყველაზე მეტად აცალკევებს მათ დანარჩენი ქართული საზოგადოებისგან; ეთნიკურად აზერბაიჯანელთა 74% და სომეხთა მხოლოდ 51% საუბრობს ქართულად თავისუფლად. უმცირესობებს ურჩევნიათ მუშაობა და სწავლა ბაქოში ან ერევანში (ან რუსეთში), ვიდრე თბილისში და სახეზეა მნიშვნელოვანი ემიგრაციული პროცესი (Civil.ge, 2021). ამავდროულად, აზერბაიჯანელთა უმეტესობა დადებითადაა განწყობილი ქართული ენის მიმართ, რაც მათში ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა სოციალური და ეკონომიკური წარმატების მისაღწევად აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს მთავრობამ დანერგა სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის, რომლებსაც სურთ ქართულ უნივერსიტეტებში სწავლა. ეთნიკური უმცირესობების სტუდენტებს შეუძლიათ ისწავლონ ქართული ენა ერთი წლის განმავლობაში, ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლების დაწყებამდე. ამ მიზნით შეიქმნა პროგრამა “1+4”, რომლის შედეგადაც გაიზარდა ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლე ეთნიკურად აზერბაიჯანელი სტუდენტების რაოდენობა (გელოვანი, 2017).

ევროინტეგრაციული პროცესის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების უზრუნველსაყოფად საქართველოს მოსახლეობაში, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობებში, აუცილებელია მზარდი ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლა შესაბამისი კამპანიების წარმოებით. ამ კონტექსტში აუცილებელია, მათ შორის, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ინფორმირება ევროპული ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მხრივ. განსხვავებას ცნებასა (ჩვენს შემთხვევაში ევროპული ინტეგრაცია) და მის პრაქტიკაში რეალიზებას შორის შეისწავლის წინამდებარე ნაშრომი, რომელიც განიხილავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე და მისი ხელშეწყობის მეთოდებზე, განსაკუთრებით, უმცირესობათა ჯგუფებში.

წინამდებარე კვლევა ფოკუსირდება მრავალ ფაქტორზე, რითიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შემდეგ სფეროებში: პირველი – კვლევა აფართოებს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების გაგებას ევროკავშირის ფარგლებს გარეთ უმცირესობათა ინტერსექციურ ჯგუფებს შორის. მეორე – კვლევა იქნება მნიშვნელოვანი კონტრიბუცია ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე სოციალური ფაქტორების გავლენის შესახებ არსებული ლიტერატურის ფარგლებში და მესამე – საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი უმცირესობებით დასახლებული რეგიონების შესწავლაში.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევების უმეტესობა სქესს არ მიიჩნევს მნიშვნელოვან ფაქტორად ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულების პროგნოზირებისთვის და იმის ნაცვლად, რომ გამოყენებული იქნას როგორც განმარტებითი კომპონენტი, სქესი ხშირად გამოიყენება როგორც საკონტროლო ცვლადი (Noe, 2016; Favero, 2020). მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კვლევამ გამოიკვლია გენდერული სხვაობა ევროკავშირისადმი დამოკიდებულებების კონტექსტში (Nelsen and Guth, 2000; Mau, 2010), თითქმის ყველა ეს ნაშრომი კონცენტრირებულია დასავლეთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე და მხედველობაში არ იღებს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოცემულობას, კერძოდ, ევროკავშირში მათი განუვრიალების შემდგომ შეცვლილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოს და იმ გავლენას, რაც მან მოახდინა იქ მაცხოვრებელ ქალებზე (Stomczyński and Shabad, 2003; Noe, 2016). აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომების აბსოლუტური უმრავლესობა, რომლებიც შეისწავლიან, თუ როგორც ყალიბდება ევროკავშირისადმი დამოკიდებულებები, ამტკიცებს, რომ ზოგადად ქალები ნაკლებად უჭერენ მხარს ევროკავშირში ინტეგრაციას. ხსენებული კონვენციური თეორიული დასაბუთებების ფარგლებში ხშირად სახელდება ამ უთანასწორობის მრავალი მიზეზი, მათ შორის ქალთა პოლიტიკურ ინტერესები, ეკონომიკური პრეფერენციები და დაუცველობა (Liebert, 1997; Nelsen and Guth, 2000). უახლესი კვლევები გვთავაზობს უფრო მრავალფეროვან და წინააღმდეგობრივ პერსპექტივებს ევროინტეგრა-

ციის პროცესის მხარდაჭერის გენდერულ ასპექტთან მიმართებაში. უფრო მეტიც, ევროინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერის გენდერული ასპექტის შესახებ კვლევების უმეტესობა ამტკიცებს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი გენდერული განსხვავებები ევროპული ინტეგრაციის მიერ მოტანილი სარგებლის საზოგადო მხარდაჭერისა და აღქმის მხრივ (Stomczyński and Shabad 2003; Schlenker 2012). მოცემული ნაშრომი მიზნად ისახავს ამ საკითხის დამუშავებას ევროკავშირის მიმართ ქალთა დამოკიდებულების შესწავლის მეშვეობით. გარდა ამისა, იგი განიხილავს ინტერსექციურობის ცნებას საქართველოში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი აზერბაიჯანელი ქალების დამოკიდებულების შესწავლის გზით.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალებზე ჩატარებული კვლევების უმეტესობა ფოკუსირდება კარიერულ შესაძლებლობებზე (Kamenou & Fearfull, 2006), ჯანმრთელობის საკითხებზე (Bryant-Davis et al., 2009), პოლიტიკურ (Mügge et al., 2019) და ეკონომიკურ ასპექტებზე (Ram & Jones). , 2008). საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების შემთხვევაში, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის კონტექსტში მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო ქართულ საზოგადოებაში მათმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ინტეგრაციამ და უფლებების დაცვა-რეალიზების საკითხმა. აღნიშნულ სფეროში ჩატარებული ადრეული ნაშრომები, უპირველეს ყოვლისა, ეხებოდა საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პრობლემებს. მაგალითად, უმცირესობები, რომლებიც არ საუბრობენ სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე, რაც აფერხებს მათ ინტეგრაციას, ზოგადად (Wheatley, 2009; Yilmaz and Öğütçü, 2016; Hajieva, 2021); ან ეთნიკური უმცირესობების საკითხთა ანალიზი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში (სამხარაძე, 2018; კახიშვილი 2020). თუმცა, ეს კვლევები მოიცავდა ქვეყანაში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს ზოგადად, მათ შორის, ეთნიკურ სომხებს, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები არ იყო შესწავლილი, როგორც კონკრეტული სოციალური ჯგუფი აღნიშნულ კონტექსტში. რობერტ დალის (1994) მიხედვით, იმისათვის, რომ ეფექტურად ჩაერთონ დემოკრატიულ პროცესებში, ინდივიდები უნდა იცნობდნენ არსებულ პოლიტიკური სისტემას. კავკასიის ბარომეტრის ბოლო გამოკითხვების თანახმად, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის პრობლემა სწორედ აქ იწყება, რადგან ევროკავშირის, მისი ინსტიტუტებისა და სისტემის შესახებ ინფორმირებულობის დონე ზოგადად უკიდურესად დაბალია საქართველოს უმცირესობებში (CRRC, 2021). ყოველივე ხსენებულზე დაყრდნობით შეიძლება დავასკვნათ, რომ უმცირესობები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულნი ევროინტეგრაციის პროცესის თაობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული კვლევები საქართველოში ეთნიკური უმცირესობების პრობლემებზე ახდენს ფოკუსირებას (გრიგორიანი, 2015; შავთვალაძე, 2018), არცერთი მათგანი არ შეისწავლის უმცირესობათა წარმომადგენელი ქალების ინფორმირებულობას ევროკავშირის თაობაზე და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი მათ დამოკიდებულებას. ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულება, ასევე, გახლავთ ინტერესის საგანი ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც. Cosse-ს (2007) მიხედვით, მხოლოდ ინფორმაციის წყაროების არსებობა არასაკმარისია ამ საკითხის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მოქალაქეების, როგორც ბენეფიციართა დამოკიდებულების გაანალიზებას აზრი არ ექნებოდა, თუ ისინი ევროკავშირთან ინტეგრაციის დისკუსიებში არ იქნებიან ჩართულნი. კუნიკოს აზრით (Cunico et al., 2021), განსხვავებული ტენდენცია შეიმჩნევა ევროკავშირის უახლეს წევრ სახელმწიფოებში – პოლონეთში, ესტონეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ლატვიაში, სლოვაკეთში და ბულგარეთში. მათ ჰქონდათ მაღალი ცნობიერება ევროკავშირში შესვლის შემდეგ, მაგრამ მოგვიანებით ამ ტენდენციებში მნიშვნელოვანი განსხვავებები დაფიქსირდა. გაცნობიერებულობაში პიკის მიღწევის შემდეგ, ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა რუმინეთი, ბულგარეთი და სლოვაკეთი, იგი საბოლოოდ იწყებს კლებას, როგორც ეს მოხდა ყოფილ წევრ ქვეყნებში. ესტონეთში კი განევრიანებისთანავე მკვეთრად შემცირდა ხსენებული ტიპის გაცნობიერებულობის ხარისხი. საბოლოო ჯამში, ლატვიის, პოლონეთის და უნგრეთის გაცნობიერებულობის ხარისხის ზრდა აღწევს ისეთ წერტილს, სადაც იგი სტაბილურდება და სახეზეა გარკვეული დონის ფლუქტუაცია.

სახეზეა გარკვეული მცდელობები და პროექტები ევროკავშირის თაობაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. კონცოლის (2019) მოსაზრებით, ახალგაზრდა ევროპელებს აქვთ პოლიტიკურ პროცესებში გარკვეული დონით ჩართულობის შესაძლებლობა, თუმცა, ეს მონაწილეობა ვერ იქნება არსებითი გადაწყვეტილებების მიღების კუთხით (Gherghina & Geissel, 2017). ამრიგად, ის უნარები, რომლებიც პროცესში ჩართულმა ჯგუფებმა შეიძინეს, მეტადრე წარმოადგენს კონსულტაციური სახის უნარებს, ვიდრე რეალური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებ-

ლობას. პროცესში ჩართულობის არსებული ფორმების გათვალისწინებით, ახალგაზრდებს შეუძლიათ, შეადგინონ კითხვების სიები, მონაწილეობა მიიღონ საჯარო მსჯელობებში, ძირითადად ევროპის ახალგაზრდული ფორუმის მეშვეობით, წევრ სახელმწიფოთა შესაბამისი სტრუქტურების მიერ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად. ამ ტიპის ჩართულობას ერთობ დიდი მნიშვნელობა გააჩნია. კომუნიკაციის ამგვარი არხებით, გადაწყვეტილებების მიმღებნი ზრდიან ახალგაზრდების „გაცნობიერებულობას“ ევროკავშირის თაობაზე და აძლევენ მათ ლოკალურ და საერთაშორისო პოლიტიკურ ქსელებში ჩართვის შესაძლებლობას. ეს წარმატებული მაგალითი გვიჩვენებს, რომ ევროინტეგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ცნობიერების უკმარისობა იძლევა ცნობიერების ამაღლების ახალი, შესაბამისი პროგრამების შემუშავების შესაძლებლობას. ამრიგად, ევროინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე გავლენის ფაქტორები საფუძვლიანად უნდა იყოს შესწავლილი საქართველოს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა კონტექსტში.

ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებში გაცნობიერებულობა და სახელმწიფო ენის ცოდნა

არასაკმარისი ინფორმირებულობა და ცნობიერება, როგორც ვითარების არცოდნისა და მოვლენებზე კონტროლის არქონის წინაპირობა, არ არის მხოლოდ იმ ინდივიდთა და ჯგუფთა პრობლემა, რომლებიც იმყოფებიან სხვათა გავლენის ქვეშ. მოვლენებზე არა ინფორმირებულობა ინდივიდებს აყენებს წამგებიან პოზიციაში, რამეთუ ისინი რჩებიან რეალური სოციალურ-პოლიტიკური პროცესების მიღმა. ამ კონტექსტში განათლება და ინფორმირებულობა მოიაზრება, როგორც ინდივიდთა გაცნობიერების პროცესი, რაც საშუალებას აძლევს მათ მოიპოვონ ძალაუფლება და მოვლენებზე კონტროლი, სხვა სიტყვებით, ეს არის ემანსიპაციის პროცესი (Szkudlarek & Zamojski, 2020). ამ გაგებით, საზოგადოების თითოეული სეგმენტი, უმცირესობათა და ქალთა ჩათვლით ხდებიან ინფორმირებულნი მიმდინარე საზოგადოებრივ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე. ფავეროს მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით Favero's (2020), განათლების მქონე ქალები, კაცებთან შედარებით, უფრო მეტად უჭერენ მხარს ევროინტეგრაციულ პროცესებს. ჭელიძის მიხედვით (ჭელიძე, 2021), ევროკავშირის მიმართ არსებობს მაღალი ინტერესი და იგი ორმხრივი ურთიერთქმედებების დინამიკისა და თავისებურებებისგან დამოუკიდებლად არსებობს. ინდივიდები ინფორმაციას უმთავრესად ტელევიზიის მეშვეობით იღებენ. ჩვენი მოსაზრებით, ეთნიკურ უმცირესობათა ინფორმირებულობის მიზნით ოპტიმალური გზა იქნება ინფორმირებულობის ასამაღლებელი შესაბამისი სატელევიზიო გადაცემების მომზადება და იმავე საშუალების გამოყენებით მათთვის სახელმწიფო ენის გაკვეთილების შეთავაზება. კიდევ ერთი გზა აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეიძლება იყოს უმცირესობებისთვის სკოლის პროგრამებში ევროპასთან დაკავშირებული ცოდნის კიდევ უფრო სიღრმისეული მიწოდება შესაბამისი საგნების ფარგლებში (ისტორია, სამოქალაქო განათლება). შესაბამისად, მოსახლეობის და კონკრეტულად კი, ეთნიკური უმცირესობების უფრო მეტად ინფორმირებულობა განათლების სისტემის მეშვეობით შეიძლება ჩაითვალოს ევროინტეგრაციის პროცესისადმი პოზიტიური ატიტუდების განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად.

საქართველოს რიგ ღარიბ რეგიონებში, სადაც სკოლებს არ გააჩნიათ დაფინანსება (ან თუ გააჩნიათ, ერთობ უმნიშვნელო), ბიჭების მნიშვნელოვანი ნაწილი ანებებს თავს სწავლას ადრეულ კლასებში და იწყებენ მუშაობას. ეს ტენდენცია სახეზეა ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეებშიც, თუმცა, მათში სწავლას თავს ანებებენ უფრო გოგონები, ვიდრე ბიჭები. როგორც წესი, მშობლები გოგონების განათლებას მცირე მნიშვნელობას ანიჭებენ, ხოლო ადრეული ქორწინების შემთხვევებში კი გოგონებს შეიძლება 13-14 წლის ასაკშიც კი დაანებებინონ სწავლას თავი (Group & Karaia, 2019). აქედან გამომდინარე, საქართველოში მაცხოვრებელი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალებისთვის ევროინტეგრაციულ პროცესებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით ინფორმაციის მიწოდება კვლავ წარმოადგენს პრობლემატურ საკითხს.

აქტივიზმი

აქტივიზმი არის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროცესებზე გავლენის მოხდენის საშუალება, რათა მოხდეს საზოგადოებრივი ყოფის გაუმჯობესება. მკვლევრები გამოყოფენ

მრავალი სახის აქტივიზმს, მათ შორის, ეს შეიძლება იყოს ადგილობრივ გაზეთებში წერილების გაგზავნა, თემის შეხვედრების ორგანიზება, მსვლელობების მოწყობა, სხვადასხვა სახის პერფორმანსების და შიმშილობის აქციების მოწყობა, პოლიტიკურ პროცესებში (არჩევნები) მონაწილეობის მიღება. შესაბამისად, აქტივიზმი შეიძლება განისაზღვროს, როგორც პოლიტიკური ჩართულობის სინონიმი, რომელიც გულისხმობს ამავე პროცესში მონაწილეობისთვის შესაბამისი კოგნიტური უნარების ფლობას და აქტუალურ საზოგადოებრივ საკითხებზე ინფორმირებულობას (Dee, 2020). განათლება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განაპირობებს ინდივიდთა და ჯგუფთა პოლიტიკურ აქტივობას როგორც კაცებში, ასევე ქალებში (Sahu & Yadav, 2018). ბერნსი, შლოზმანი და ვერბა (Burns, Schlozman, and Verba, 2001) ამტკიცებენ, რომ აქტივიზმი მრავალმხრივ ეხმარება ინდივიდებს: ისინი მეტ ცოდნას იძენენ თავიანთ თემზე და საზოგადოებაზე, ზოგადად, ავითარებენ მნიშვნელოვან სოციალურ უნარებს და უფრო კარგად ესმით სხვათა ინტერესები და მოთხოვნები. ასე რომ, ქალი, რომელიც სოციალურად აქტიურია, ამასთანავე, არის განათლებულიც, რომელსაც კარგად ესმის საზოგადოებრივი პროცესები. ამ კონტექსტში შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ თუკი ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები აქტიურად ჩაერთვებიან საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისინი დაეუფლებიან ცოდნას ევროინტეგრაციულ პროცესთან დაკავშირებით და მათი დამოკიდებულებებიც პოზიტიური იქნება. მეჰრაბოვი (Mehrabov, 2016) გამოყოფს ოთხი სახის აქტივიზმს ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალებში – ტრადიციული ოპოზიციური პოლიტიკური აქტივიზმი, რელიგიურ-მუსლიმური აქტივიზმი, ფემინისტური აქტივიზმი და ლიბერალური აქტივიზმი. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური აქტივიზმი აუცილებლად არ გულისხმობს ოპოზიციური ტიპის აქტივობას. ჩვენს შემთხვევაში, ევროინტეგრაციის მხარდაჭერა თანხმობაშია საქართველოს ოფიციალურ პოლიტიკურ დისკურსთან (საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრი, 2017 წ., გვ. 2013; ჯავახიშვილი და სხვ. 2021 წ.).

ინოვაციები/თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება

ვან დერ ჰავეს და რუბალკაბას მიხედვით (Van der Have and Rubalcaba, 2016, p.1924), ტექნოლოგიურ ინოვაციებს აქვს გარკვეული სოციალური იმპლიკაციები. ტექნოლოგიურ ინოვაციასა და პიროვნულ ინოვაციას შორის მჭიდრო კორელაცია არსებობს. ინოვაციური ინდივიდები არიან ისინი, ვისაც აქვთ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, უფრო მეტად იღებენ რისკებს და ასეთები არიან, თანდაყოლილი ინტერესისა და სიახლეებისადმი მიდრეკილების გამო. იმის გათვალისწინებით, რომ ტექნოლოგიური ინოვაციის ცნება მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალური ინოვაციის ცნებასთან, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არსებობს დადებითი ურთიერთმიმართება ინდივიდუალურ ინოვაციასა და სოციალურ ინოვაციას შორის. თრეისი და სტოტი (Tracey and Stott, 2017, p.56) იძლევიან სოციალური ინოვაციის ტიპოლოგიას, მიუთითებენ რა იმ ფაქტზე, რომ საზოგადოებრივი საკითხების მოგვარებაში ციფრული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რაშიც ხდება შესაბამისი ინვესტიციების ჩადება. რაჰმანი (Rahman et al., 2018, p.242) განიხილავს სოციალურ ინოვაციას ტექნოლოგიური ინოვაციის პრიზმაში და ასკვნის, რომ პიროვნული ინოვაცია წარმოადგენს ტექნოლოგიური ინოვაციების მაპროგნოზირებელ ფაქტორს, სოციალური ასპექტის გათვალისწინებით. მეტიც, ოსიპოვის მტკიცებით (Osipov et al., 2022), ციფრული სწავლება არის პრაქტიკული, ეკონომიური და მაღალ-ეფექტური საშუალება იმისთვის, რომ განათლება უფრო მიმზიდველი გახდეს ახალგაზრდებისთვის, რაც გამოიწვევს მათი განათლებით კიდევ უფრო დაინტერესებას. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაცია, როგორც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, გაზრდის ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ინფორმირებულობას ევროინტეგრაციულ პროცესებთან მიმართებაში. ნაშრომის ცენტრალური საკვლევი საკითხია, რა ფაქტორები ახდენს გავლენას საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალების ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებაზე და ამ მიზნით შესწავლილია ოთხი შესაძლო ფაქტორის მნიშვნელობა. ასევე, როგორც უკვე ზემოთ განვიხილეთ, შესაბამისი ლიტერატურის მიხედვით, სახელმწიფო ენის ცოდნა არის სამოქალაქო აქტივიზმის განმაპირობებელი პოტენციური უნარი, რაც, თავის მხრივ, იწვევს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების გაუმჯობესებას და შესაბამისად, აღნიშნული ფაქტორიც ჩვენს მიერ სიღრმისეულად განიხილება. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში შემოწმდა შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: ევროკავშირის შესახებ ცოდნის/ინფორმირებულობის (განათლების) დონე, სახელმწიფო ენის ცოდნა, ქალთა აქტიურობა და ინოვაცია/ახალი ტექნოლოგიების გამოყენება წარმოადგენს ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულების დადებით პრედიქტორებს.

H2: აქტივიზმი არის მედიაციური ფაქტორი ოფიციალური ენის ცოდნასა და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებას შორის. სახელმწიფოს ოფიციალური ენის ცოდნა პირდაპირ კავშირშია ევროკავშირში ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებასთან (ჰიპოთეზა 1), თუმცა, კავშირი უფრო ძლიერდება აქტივიზმის მეშვეობით.

3. მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდები

კვლევის ფარგლებში გამოყენებულია კორელაციული დიზაინი, მონაცემები შეგროვდა კითხვარის მეშვეობით. ხსენებული მეთოდი ფართოდ გამოიყენება და შესაძლებელს ხდის საკვლევი პოპულაციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოცვას შედარებით ნაკლები დანახარჯების მეშვეობით (Taherdoost, 2019).

კონცეპტუალურ მოდელში ჩამოთვლილი ცვლადები გამოყენებულ იქნა კითხვარის შესაბამისი პუნქტების გენერირებისთვის. კითხვარი შეიცავს ორ ნაწილს: პირველ ნაწილში მოცემულია რესპონდენტთა დემოგრაფიული მახასიათებლები, ხოლო მეორეში – კვლევის ცვლადები. კითხვარი შემუშავდა აზერბაიჯანულ ენაზე მისი ადმინისტრირების გასაადვილებლად. საპილოტე კვლევა ჩატარდა მონაცემთა შეგროვებამდე, რათა უზრუნველყოფილიყო კითხვარის ვალიდობა და სანდოობა. კვლევის მონაწილეებმა რეკომენდაცია გაუწიეს კითხვარში რამდენიმე მოდიფიკაციას. კითხვარი განახლდა საპილოტე კვლევის მონაწილეთა კომენტარების შესაბამისად, შერჩეული მეთოდოლოგიის მიხედვით (Cooper & Schindler, 2014).

პასუხები დამუშავებულია 7-ქულიანი ლიკერტის ტიპის სკალით, ისინი მერყეობს 1-დან ("კატეგორიულად არ ვეთანხმები") 7-მდე ("სრულიად ვეთანხმები"). ხუთი ცვლადიდან თითოეული – ოთხი პრედიქტორი და ერთი შედეგის ცვლადი – შეფასდა სამი დებულების მეშვეობით. ინოვაციის/ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დებულება შემდეგი სახითაა ფორმულირებული: „ვიყენებ თანამედროვე „გაჭეტებს“ ინფორმაციის წვდომისათვის ან მის გადასაცემად“; ევროკავშირთან ინტეგრაციისადმი დამოკიდებულებისთვის: „მჯერა, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია დადებითი პროცესია“; განათლებისთვის: „განათლებამ გააუმჯობესა ჩემი ცოდნა საქართველოს ევროინტეგრაციული პროცესების მიმართ“; სახელმწიფო ენის ცოდნისთვის: „მე ვიცი ქართული“; ხოლო აქტივიზმისთვის: „ვმონაწილეობ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ქუჩის აქციებში“. სკალების სანდოობის დადგენის შემდეგ, თითოეული ცვლადის შემადგენელი საშუალო ქულა გამოთვლილ იქნა სამ შესაბამის კითხვაზე პასუხის მიხედვით.

შერჩევა


რესპონდენტები შერჩეულ იქნენ მრავალსაფეხურიანი შერჩევის ტექნიკით ეთნიკურად აზერბაიჯანელ ქალთა ჯგუფებიდან, ძირითადად Facebook-ის პლატფორმაზე. აზერბაიჯანული უმცირესობის ჯგუფის ქალებმა, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ოთხ რეგიონში – გარდაბანი, მარნეული, დმანისი და ბოლნისი – მიიღეს 400 ანკეტა, როგორც ელექტრონული, ასევე, ბეჭდური სახით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 380-მა რესპონდენტმა (პოტენციური 400-დან). გამოკითხვა ჩატარდა შერეული ფორმით. ანკეტები 2022 წლის ივნისში დარიგდა იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა ცხოვრობს.

3.5 მონაცემთა დამუშავება

მონაცემები დამუშავდა SMART-PLS პროგრამაში, სტრუქტურული განტოლების მოდელის (SEM) გამოყენებით. ხსენებული მოდელის გამოყენების უპირატესობა ისაა, რომ ის მკვლევარებს აძლევს იმის საშუალებას, შეამოწმონ, თუ როგორ უკავშირდება ცვლადები ერთმანეთს (Urban & Mayerl, 2013). ეს მეთოდი მიზანშეწონილია განტოლებათა ნაკრების ერთდროულად პროგნოზირებისთვის და ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების დამყარებისთვის (Davari & Rezazadeh, 2013). SEM-PLS წარმოადგენს მეორე თაობის მეთოდს (Haenlein & Kaplan, 2004). PLS მოდელი აგებულია კომპონენტთა ანალიზის პრინციპზე, რომელიც აღწერს მოდელის პარამეტრების ცვლილებებს.

სტრუქტურული მოდელი ნაჩვენებია გრაფაზე 1. მოდელის შესაბამისი პარამეტრების გაანგარიშებით უზრუნველყოფილ იქნა სკალის სანდოობა და დისკრიმინანტური ვალიდობა, ხოლო ელემენტებს შორის დამაკავშირებელი კოეფიციენტების დადგენით შემოწმდა სტრუქტურული მოდელი. სტრუქტურული მოდელი აჩვენებს კავშირებს (მათ შორის, შუალედურ ბმულებს) ლატენტურ კონსტრუქტებს შორის, იმ ერთეულებს შორის, რომლებიც გაერთიანებულია შესაბამისი ცვლადების ქვეშ.

გრაფა 1. სტრუქტურული განტოლების მოდელის სპეციფიკაციის დიაგრამა



4. შედეგები და განხილვა

